



საქართველოს სოფლის მეცნიერების  
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF  
AGRICULTURAL SCIENCES

# ნუშის კულტურის (*Amygdalus communis*) ნიღბის გამოყვანა, გაღების გაშენება და მოვლა (რეკომენდაციები)



თბილისი  
2015

## შპსაპალი

### რეკომენდაციების ავტორები:

იუზა ვასაძე – საქართველოს სოფლის  
მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი, პროფესორი;  
გიგი გაღრმული – საქართველოს  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;  
ნაბახარ შენგავლია – სოფლის  
მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  
ნადეჟდა მიროტაძე – სოფლის  
მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  
ლალი გოგიანავა – სოფლის  
მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  
ნატოშლი მიძაბავი – სოფლის  
მეურნეობის აკადემიური დოქტორი;

**რეცენზენტი:** იორეა გასილია – სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა დოქტორი.

**რედაქტორი:** ელგუჯა უაშაძიძე – საქართველოს სოფლის  
მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესონდენტი, ტექნიკის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსმმ  
აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის  
უფროსი.

ISBN 978-90941-0-3807-5

მეხილეობაში სასტემატური რეფორმების განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, არამარტო დარგში კრიზისის დასაძლევად, არამედ მთლიანად მისი კრიზისიდან გამოსვლის გზების სწორად არჩევას, სოციალურ-ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესებისა და პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის..

ადამინის კვებაში თვალისაჩინო ადგილი უკავია ხილს. მეხილეობის განვითარების პერსპექტიული გეგმით საჭიროა არა მარტო ფართობების აღდგენა – ზრდა, არამედ ფართობის ერთეულზე საჰეტერო მოსავლიანობის გადიდება, რაც თავის-თავად დიდად არის დაკავშირებული აგროტექნიკის სწორად გატარებასთან.

სპეციალისტები აღნიშნავენ საქართველოს ტერიტორიის ცალკეული აღგილების განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებს, სადაც გვხვდება სუბტროპიკული, ნახევრად სუბტროპიკული, მშრალი და ტენიანი ზონები, სადაც შესაძლებელია ისეთი კულტურების მოყვანა, როგორიც ნუშის კულტურაა, რომელ-საც კაპლოვან კულტურებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

საქართველოში არსებობს ყველა პირობა მაღალი გემური თვისებების მქონე პროდიუქციის მისაღებად, როგორც ცნობილია კაკლოვნების (კაკალი, თხილი, ნუში) პროდუქციის მოხმარების ბაზარი დეფიციტურია, საქართველო მათი ნაყოფიერების ტრადიციული მომხმარებელია, აქედან გამომდინარე დეფიციტის აღმოსაფხვრელად უნდა გაშენდეს მაღალინტენსიური ბაზები, რისთვისაც საჭიროა პერსპექტიული ჯიშები და ფორმებით მათი გაშენება.

## ნუშის კულტურის პირველობის თავისებურებანი

ნუში შედის *Amygdalus L.* გვარში, რომელიც 40-მდე სახეობას აერთიანებს გავრცელებულ ზონაში. შემდგომ ჩრდილოეთისაკენ გვხვდება სტეპის ნუში (*Amygdalus nana L.*)

ჩვეულებრივი ნუში ეკუთხნის ვარდისფერთა (Rosaceae) ოჯახს და სხვა კურკოვნებთან ერთად გაერთიანებულია *Pru-noideae-*ს ქვეოჯახში. *Amygdalus communis* ჩვეულებრივი ნუში აერთიანებს ნუშის კულტურულ ჯიშებს, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში, ჩილეში, აგსტრალიაში, ევროპისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებში და ასევე საქართველოში.

ჩვეულებრივი ნუში 4-8 მეტრი სიმაღლის ხე მცენარეა, ზოგჯერ გვხვდება 10-12 მეტრის სიმაღლის მცენარეებიც.

ნუში როგორც წესი კარგად ვთთარდება ღრმა ნიადაგებზე. ნუშის ხის ფეხვთა სისტემა ვერ იტანს წყლის დგომის სიახლოეს. იხეთი ადგილები, სადაც გრუნტის წყლები ნიადაგში 1-1,5 მეტრის სიმაღლეზეა და არ არის მოძრავი, ნუშისათვის საზიანოა. მცენარე ვერ ვთთარდება, ფეხვთა სისტემა განიცდის კვდომას, რაღგანაც მას არ მიეწოდება პაერი. ფოთლებს აქვთ ქლოროფილისადმი მიღრეებულება და ღროზე აღრეცივა. მცენარე ღროზე აღრეცივა ხმება, აქედან გამომდინარე დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან ნიადაგებზე ნუშის კულტურა ვერ ვთთარდება.

თავისი ძლიერი ფეხვთა სისტემით ნუში შესაძლებელია ისეთ ადგილებზე გაშენდეს, სადაც სხვა კულტურების გაშენება-გავრცელება შეუძლებელია.

საქართველოში ძალიან ბევრია ადგილები, სადაც შესაძლებელია ნუშის კულტურის წარმატებით გაშენება – გავრცელება, კერძოდ თბილისის გარეუბანში, მცხეთა-თიანეთის, ქახუთის და შიდა და ქვემო ქართლის მეხილეობის ზონებში.

ნუშის ხის ვარჯი დატოტვილია, ხშირია, ცოცხისებრია ფორმით ძირითადად განიერ პირამიდულია, გვხვდება ისეთი

ფორმებიც, ცალკე მდგრმი ხეების სახით, რომელთა ვარჯიც მომრგვალო ბურთისებრი ან მომრგვალო პირამიდულია. გვხვდება აგრეთვე დახრილტოტებიანი და უხვად შეფოთლილი ხეებიც.

## ნუშის გამოყვანა

1. საძირე. ნუშის კულტურის საუცეოებლო ნიშანთვისებების მქონე ჯიშებისა და ფორმების შენარჩუნების მიზნით გამრავლების ძირითადი წესია ვეგეტატიურად მყნობით გამრავლება.

პირველ რიგში საჭიროა მიღებულ იქნას ნუშის სტანდარტული საძირები, ვინაიდან მყნობის წარმატება და ნამყენი ნერგის გამოსავლიანობა პირველ რიგში სანამყენე კომპონენტების (საძირე, საკვირტე მასალა) ხარისხზეა დამოკიდებული.

საძირე და სანამყენე (კვირტი) ეს ორივე ნაწილი მყნობის შემდეგ ერთ მოლიან ორგანიზმს, ნამყენ მცენარეს ქმნიან და თითოეული მათგანის ცხოველმყოფელობა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც საძირეს ენიჭება, პრაქტიკაში ნუშის საძირე გამოიყენება ტყემალი, ატამი, ჭერიმი, ქლიავი, ნუში, მაგრამ ნუშის ძირითად საძირე და მაინც ჩვეულებრივი ნუში (მწარე ან ტკბილი) ითვლება.

საძირე თესლნერგების მისაღებად თესლის თესვა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში ხდება, შემოღვრმაზე და ზამთრის პირად ნოემბერ-დეკემბერიანგარში, სტრატიფიცირებული თესლით კი ითესება გაზაფხულზე.

ნუშის თესლში მიმდინარეობს რთული ფიზიოლოგიური პროცესები და 30-35 დღის შემდეგ თესლი იწყებს გაღივებას,

ნაჭუჭი სკდება, ითესება თებერვლის ბოლოს – მარტის პირველ დეკადაში 100 X 20 სმ კვების არეზე 5-6 სმ სიღმეზე

აქვთ უნდა აღინიშნოს, რომ ნუშის თესლის შემოდგომით დათესვისას საჭიროა ნათესარების დაცვა მავნებლებისაგან (მდრღელი) და ფრინველებისაგან. მათ საწინააღმდეგოდ თესვის შემდეგ ნაკეთში შეიტანება მისატყუარი საშუალებები. მაღალ უფექტურია თუთის ფოსფიდის ან ბაქტოკუმარინის გამოყენება მდრღელების, ხოლო საფრთხოებელების გამოყენება ფრინველების წინააღმდეგ

2. თესლის დამზადება წარმოებს აპრობირებული ჯანსაღი სადევე ხებიდან - სრულ ბოტანიკურ სიმწიფეში. გადარჩევის შემდეგ თესლი მოთავსდება შშრალ აღგილას ლასტებზე, ისეთ სათავსოში, სადაც უზრუნველყოფილია განიავება. გაშრობის შემდეგ თესლი თავსდება ტომრებში და დათესვამდე ინახება მდრღელებისაგან დაცულ სათავსოში.

შემოდგომაზე თესვისას თესლი სტრატიფიკაციას არ საჭიროებს. გაზაფხულზე თესვისას კი – ჩატარდება სტრატიფიკაცია 65-70 დღის ხანგრძლივობით ტენიან ქვიშაში (1 წილი თესლი 2 წილი ქვიშა) 3-5<sup>0</sup> ტემპერატურის პირობებში.

გაზაფხულზე დათესვისას მისაღებია თესლის, 10-12 დღის განმავლობაში, გამდინარე წყალში დალბობა.

დახურულ გმირთა სისტემით ენების აღზრდა  
(დასათუმი ჰურპელი, სუბტრატი, თმება, დარბაზ  
და ენების მოვლა)

დახურულ ფესვთა სისტემით ნუშის ნერგის წარმოებისათვის გამოიყენება პოლიეთინელის ტოპრაკები, მცირე მოცულობის პლასტმასის ჭურჭლები, სპეციალური ქორნები და

ა.შ. მოსახერხებელი და იაფია პოლიეთილენის ტოპრაკები: ზომით 40X20 სმ.

ნაზავად გამოყენება: ფხვიერო მიწა, მდინარის შლამი, გადამწვარი ნაკელი, ტორფი.

საუკეთესო ნაზავია – გადამწვარი ნაკელი და კორდის მიწა შეფარდებით 1:1 მასში არსებული საკები ელემენტები მთლიანად უზრუნველყოფს შეზღუდულ არეში ნერგის კვებას, როგორ მუდმივ ადგილზე გადარგვამდე, ისე გადარგვის შემდეგ.

დასათესი ჭურჭლელის ნაზავით შევსების შემდეგ იგი ირწყება და ნუში მასში სათითაოდ ითესება 5-6 სმ სიღრმეზე.

ნერგების მოვლა ითვალისწინებს მორწყვას, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლას, ფესვეურ და ფესვგარეშე გამოკვებას. გამოიყენება კრისტალონი – 300 გრ. 100 ლ წყალში. გამოკვება და შესხურება ხდება 3-ჯერ 10-10 დღის ინტენსიურობით.

სუბტრატში ტენიანობის რეგულირება ხორციელდება მორწყვით, სპეციალური დასაწყიშებლებით 7-10-ჯერ ამინდის პირობების გათვალისწინებით.

დატენიანების თავიდან აცილების მიზნით ჭურჭლელს უკეთდება სადრენაჟე ხერელები.

მოვლის სათანადო პირობებში ნუშის საძირები აღწევენ სტანდარტულ მაჩვენებლებს.

## მშენება

ნუშის მყნობა ტარდება ზაფხულის ბოლოს აგვისტოს მეორე ნახევრიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე კვირტით. შეხორცების შემდეგ ნამყენი გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე კვირტის ზრდის დაწყებისას, დახურულ ფესვთა სისტემით აღზრდილი ნამყენი გადაირგვება ბაღში შესაბამის კვების არეზე. ტრადიციულად სანერგიდან მიღებული ნამყენი, რომლის შტამბის სიმაღლე არის 60-70 სმ., ძლიერად

განვითარების შემთხვევაში, 4 ნაზარდი დამოკლდება 20-25 სმ-ით ვარჯის ფორმირებისათვის.

## ბალის ბაზენება

1. ადგილის შერჩევა და მომზადება – ნუშის სამრეწველო ბალის გაშენებისას პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ სითბოს რეჟიმი, გაზაფხულის გვიანი წაყინვების საშიშროება, ნალექების რაოდენობა, ქარქის სიძლიერე და მიმართულება, ნიადაგის ტიპი.

შერჩეულ ზონაში კულტურის გაადგილების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიკრონაკვეთების გამოყოფას.

ნუშისათვის ხელსაყრელია ისეთი ადგილები, რომლებიც უავილობის პერიოდში მდგრადი ტემპერატურით ხასიათდებიან.

ბალებისათვის უნდა შეირჩეს ღრმა, სარწყავი წყლით უზრუნველყოლი ნიადაგები.

ბალი უნდა გაშენდეს ქარქისაგან ბუნებრივად დაცულ ადგილებში ან მოწყოს ქარსაფარი ზოლები 2-3 წლით ადრე.

ნუშის ზრდა-განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული შერჩეული ნაკვეთის წინასწარ მომზადება-გასუფთავება ქალაზონისაგან, ბუნებრივებისაგან, სასურველია დაითესოს სათოხნი კულტურა. თუ ნაკვეთზე წლების განმავლობაში ერთწლიანი კულტურები ითესებოდა და ნიადაგის ყოველწლიურად დამუშავების გამო გაუარესებულია მისი ფიზიკური თვისებები; საჭიროა მრავალწლიანი ბალახების თესვა და შემდეგ მისი ჩახვნა ორგანულ-მინერალურ სასუქებთან ერთად.

ბალის გაშენებამდე ნიადაგი უნდა მოხნას ღრმად 50-60 სმ-ზე, ხენა უნდა ჩატარდეს 30 სექტემბრამდე.

ბალის გაშენების წინ უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები: ნიადაგში შეგვაძეს ორგანულ-მინერალური სასუქები (რაოდგნობა, დგინდება ნიადაგის მექანიკურ-ქიმიური ანალიზის შემდეგ); მლაშე ნიადაგებზე უნდა გატარდეს პიდროტექნიკურ-მელიორაციული ღონისძიებები. ძირითადი ხენის შემდეგ ნაკვეთი უნდა მოშანდაკდეს და დაიგეგმოს.

2. კვების არე. უხევი, მაღალმოსავლიანი მოსავლის მიღებისა და მცენარის პროდუქტიულობის პერიოდის გახანგრძლივებისათვეს დიდი მნიშვნელობა აქვს კვების არის დადგნას, რომლის დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჯიშური თავისებურება, ნიადაგური პირობები, რელიეფი და სხვ.

ჩვენს მიერ რეკომენდირებული ჯიშებისა და ფორმებისათვის ძლიერ ღრმა ნიადაგებზე კარგ შედეგს იძლევა 7 X 8, ღორლიან ნიადაგებზე 7 X 5 კვების არეზე მცენარის გაშენება.

3. ნერგის გაშენება. ნუშის ნერგის დარგვა შესაძლებელია როგორც შემოღომით, ისე გაზაფხულზე - უპირატესობა შემოღომით გაშენებას ენიჭება - რადგანაც შემოღომით გაშენებული ნერგები გაზაფხულზე ინტენსიურად იწყებენ ვეგეტაციას და ხელს უწყობს მცენარის ძლიერად განვითარებას.

დასარგავი ორმოები ამოიღება 40 X 50 სმ სიღრმეზე, დარგვის წინ ორმოებში უნდა შევიწაოთ და კარგად აურიოთ ორგანულ-მინერალური სასუქები - ნაკელი 12-15 კგ; ნიტროამოფოსეა 100-120 გრ. დარგვის შემდეგ ნიადაგი უნდა მოიტექნოს, გაუმკოდეს ჯამები და მოირწყას.

4. ბალის განვითარება - უხევი და მაღალსარისხოვანი მოსავლის მისაღებად აუცილებელია ბალის განოყირება მინერალური და ორგანული სასუქებით.

კარგი პერიოდია მოსავლის ასაღებად. ჩამოცვენილ და დაქრეცვილი ნაყოფები უნდა განთავისუფლდეს გარე გარსისაგან, გაიშალოს შშრალ ადგილზე გაფანტულ სინათლის შუქზე, პერიოდულად უნდა მოხდეს არევა. გამშრალი გადარჩეული საღი ნაყოფები მოთავსდეს პაერგამტარ ტოპრაკებში და დალაგდეს სარდაფუში, რომელიც პერიოდულად ნიავდება.

### სამრეწველო ჯიშების დახასიათება

#### გრძა

ხე საშუალოზე ძლიერი ზრდით ხასიათდება. ივითარებს პირამიდალური ფორმის ვარჯეს. ჯიში გამოირჩევა გვალვაგამძლეობით, ყვავილობს გვიან პირიდის მეორე დეკადაში. ნაკლებად ზიანდება გაზაფხულის ნაგვიანები წაყინებით. ნაყოფი მწიფება აგვისტოს ბოლოს. ხე მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მეორე-მესამე წელს. ერთი ხის საშუალო მოსავალი შეადგენს 10-11 კგ-ს. ნაყოფი საშუალოზე მცირე ზომისაა, მასა 2,0 გრამი. ნაჭუჭი თხელი 1,0 მმ და ადვილად მტკრევადი. გული ყავისფერი, გამოსავლი-ანობა 48,0%. ცხიმის შემცველობა 54,6%. ჯიში გამძლეა მაგნებელ-დაავადებათი მიმართ. რაც შეეხება ნაყოფს იგი ავადდება კლასტეროსპორიოზით (საშუალო) და კურკოვანთა ჟანგათი (სუსტად). პერსპექტიულია მიზნობროვო სელექციონათვის. გვიან მოყვავილე ჯიშების მისაღებად და სამრეწველო ბაღების გასაშენებლად.

#### დიხი

ხე საშუალო ზრდისაა, ივითარებს მომრგვალო-პირამიდული ფორმის ვარჯეს. გამოირჩევა გვალვაგამძლეობით,

ყვავილობს საშუალო ვადებში, პირილის პირველ ნახევარში სიმწიფის ვადა - საძრეო, მწიფდება აგვისტოს მეორე ნახევარში. მსხმოიარობაში შედის ადრე დარგვიდან მესამე წელს. მაღალმოსავლიანი ჯიშია. 15 წლის ხის საშუალო მოსავალი 11-12,5 კგ-ს შეადგენს, ნაყოფი საშუალო ზომისაა საშუალო მასა - 2,6 გრამი, ნაჭუჭი თხელი - 1,2 მმ, გულის გამოსავლიანობა 40,8%. ცხიმის შემცველობა კი 60,0%. ჯიში გამძლეა მაგნებელ-დაავადებათი მიმართ, რაც შეეხება ნაყოფი იგი ავადდება კლასტეროსპორიოზით (საშუალო) და კურკოვანთა ჟანგათი (სუსტად) სამრეწველო ბაღების გასაშენებლად.

#### პატარძეული №1

ხე ძლიერი ზრდისაა, ვარჯი უხვად შეფოთლილი, მომრგვალო პირამიდული ფორმის. ჯიში ხასიათდება გვალვაგამძლეობით. ყვავილობს შედარებით გვიან. ნაყოფი იკრიფება აგვისტოს ბოლოს - სექტემბრის პირველ რიცხვებში. მსხმოიარობს ყოველწლიურად და უხვად. ერთი ხის საშუალო მოსავალი შეადგენს 11-12 კგ-ს. ნაყოფები მსხვილი, მასა - 4,5 გრამი, ნაჭუჭის სისქე 2,5 მმ, ადვილად მტკრევადი. გულის გამოსავლიანობა 43,6%. ხასიათდება სასიამოვნო გემოთი. ცხიმის შემცველობა 54,8%. ჯიში გამძლეა მაგნებელ-დაავადებათი მიმართ. რაც შეეხება ნაყოფის იგი ავადდება კლასტეროსპორიოზით (საშუალო), კურკოვანთა ჟანგათი (სუსტად), ერთეულ ტოტებზე შეინიშნება დიდი ბუგრის გაფრცელება (2,0 - 1,5 ბალი) პერსპექტიულია სამრეწველო ბაღების გასაშენებლად.

#### პატარძეული №10

ხე საშუალო ზრდით ხასიათდება. შეფოთლილია უხვად, გამოირჩევა გვალვაგამძლეობით. ყვავილობის პერიოდი

საგვიანოა. ნაყოფი მწიფდება აგვისტოს ბოლოს, სექტემბრის თვეში. მსხმოიარობაში შედის მესამე-მეოთხე წელს. მოსავლიანობა უხვი და რეგულარულია, სრულ მსხმოიარობაში ერთი ხის მოსავალი 15 კგ-ს შეადგენს. ნაყოფი მსხვილია, მოვრძო ფორმის, მასა – 4,6 გრამია, ნაჭუჭი სქელი და ადგილად მტკრევადია. გულის გამოსავლიანობა 36%-ია. ხასიათდება კარგი გემური თვისებებით. ცხიმის შემცველობა კი 54,9%. ჯიში გამძლეა მაგნებელ-დაავადებათა მიმართ, რაც შეეხება ნაყოფს იგი ავადდება კლასტეროსპორიოზით (საშუალოდ) და კურეოვანთა ჟანგაო და კურკოვანთა ნაცროსფერო სიდამპლით (სუსტად).

**დარაიონებული ინტროდუციონული ჯიშები** – ტუონო, სუპერნოვა, გენერაციული შემოტანილია 2004 წელს, ნამჟენები გაშენებულია სკრის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრში,

**ტუონო** – ძლიერი ზრდისაა, ყვავილობის პერიოდი საშუალო-საგვიანო, თვითმტკრია, ტყუპ-ნაყოფიანობა – 10-20%, იკრიფება 20-30 აგვისტოს. მოსავლიანობა არასტაბილური, გულის გამოსავლიანობა – 35-40%. მაღალცხიმიანი.

**სუპერნოვა** – საშუალო ზრდისაა, ყვავილობის პერიოდი საშუალო-საგვიანო, თვითმტკრია, ტყუპ-ნაყოფიანობა – 5-10%, იკრიფება 1-10 სექტემბერს. გულის გამოსავლიანობა – 35-40%. მაღალცხიმიანი. ხასიათდება რეგულარული და სტაბილური მოსავლიანობით.

**გმელ** – ძლიერი ზრდისაა, ყვავილობის პერიოდი საშუალო-საგვიანო, თვითმტკრია, ტყუპ-ნაყოფიანობა – 4-10%, იკრიფება 20-30 სექტემბერს. გულის გამოსავლიანობა – 30-37%, საშუალოდ ცხიმიანი. ხასიათდება რეგულარული და სტაბილური მოსავლიანობით.

**ფერანი** – საშუალო ზრდისაა, ყვავილობის პერიოდი საშუალო-საგვიანო, მოითხოვს დამტკრევას – გენერ, ტუონო, ტყუპ-ნაყოფიანობა – 0-2%, იკრიფება 10-20 სექტემბერს. გულის გამოსავლიანობა – 35-40%, მაღალცხიმიანი. ხასიათდება რეგულარული და სტაბილური მოსავლიანობით.

თბილისის გარეუბანში, მცხვეთა-თიანეთში, კახეთსა და შიდა და ქვემო ქართლის  
მეზოლეობის სონაში რეპოზიტორებული ნუშის პერსპექტიული ჯიშები და ფორმები  
აღმინისტრაციული რაონების მიხედვით (%)

№	პერსპექტიული ფორმების დაჯერება სიმწიფის პერიოდების შიხვებით	რაონები							
		თბილისი	მცხეთა-ლეჩის	გურჯაანის რ-ნი	საგარეჯოს რ-ნი	სიღნავის რ-ნი	ჭირის რ-ნი	ოფიციალური რ-ნი	გარდაპირის რ-ნი
<u>აღმოჩენის სიმძიმის</u>									
1	დიხი	5	30	5	5	5	30	10	10
2	ქართული №2	5	20	5	5	5	50	5	5
3	ტურო	5	30	5	20	10	20	5	5
4	ქართული №5	5	20	10	5	5	20	30	5
5	ქართული №8	5	20	5	5	5	50	5	5
<u>საშ. პერიოდის სიმძ. (I-IX)</u>									
1	გიკა	-	30	-	5	5	50	5	5
2	სიღნალური	-	50	-	-	-	-	50	-
3	სუმერნოვა	-	20	10	10	-	50	10	-
4	ფორმა №18	-	30	-	-	-	20	50	-
5	კარდანული	-	50	-	-	-	-	50	-
6	ქართული №6	-	15	-	-	5	20	20	10
7	პატარძეული №10	-	20	10	5	5	50	5	5
<u>გვარი სიმძიმის</u>									
1	პატარძეული №1	-	30	-	-	-	50	20	-
2	უერანი	5	30	10	5	5	30	10	5
3	ქართული №20	5	30	10	5	5	30	10	5
4	გენე	-	20	10	10	5	40	10	5
5	დალის ნუში	5	50	5	5	5	20	5	5
6	ფორმა №29	-	50	-	-	-	50	-	-